

ბერმუდის კუნძულებზე ერთნაირსქესიანთა ქორწინება კვდავ აკრძალეს



ბერმუდის კუნძულებზე ერთნაირსქესიანთა ქორწინება კვდავ აკრძალა. შეგახსენებთ, 2017 წლიდან ქვეყნის უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დგბტ თემის წევრთა ქორწინება კანონიერი გახდა. ამჟამად კი,

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეს დადგენილება გაბათილდა. ინფორმაციას [Guardian-ი](#) ავრცელებს.

ბრიტანური გამოცემის ცნობით, ბერმუდი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ჯერ დააკანონა, შემდეგ კი აკრძალა. სიახლეს უკვე მოჰყვა დგბტ თემის უფლებების დამცველთა უკმაყოფილება.

ბერმუდის კუნძულებზე 2016 წელს ერთნაირსქესიანთა ქორწინების თაობაზე რეფერენდუმი ჩატარდა. შედეგების მიხედვით, 70% ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი იყო, 60% -თვის კი ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობაც კი მიუღებელი იყო. თუმცა, ამ რეფერენდუმს კანონიერი ძალა არ ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ რეგარიზაციის შემდეგ, ერთნაირსქესიანთა ადამიანებს შორის 10-ზე ნაკლები ქორწინება დაფიქსირდა.